6 საფეხური



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ „ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ“

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია

ფეხბურთი

1971

ცნობარი — კალენდარი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი
1971

КЛИСФ. "НАШИ ЕВРОКУБКАХ"

ჩემპიონთა თასი

1970 წლის 16 სექტემბერს სტარტი აიღო ამ პოპულარული გათამაშების მორიგმა — მეთექვსმეტე — ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონები.

ამ პრიზის მფლობელნი წინა წლებში იყვნენ:

1956-1960 წწ. — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)
1961-1962 წწ. — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)
1963 წ. — „მილანი“ (იტალია)
1964-1965 წწ. — „ინტერი“ (მილანი, იტალია)
1966 წ. — „რეალი“ (მადრიდი)
1967 წ. — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია)
1968 წ. — „მანჩესტერი“
1969 წ. — „მილანი“ (იტალია)
1970 წ. — „ფეიენორდი“ (ჰოლანდია)

საბჭოთა ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, მონაწილეობენ ამ ტურნირში 1965 წლიდან. მაშინდელი სსრკ ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მეტოქეს — მილანის „ინტერს“, მსოფლიოში კარგად ცნობილ კლუბს. ერთადერთმა ბურთმა (1:0 — მილანში, 0:0 — მოსკოვში) იტალიელებს მოუტანა უპირატესობა.

1970-1971 წლის გათამაშებაში გამოდიოდა საბჭოთა კავშირის 1969 წლის ჩემპიონი — მოსკოვის „სპარტაკი“. პირველივე წრეში სპარტაკელებმა მარცხი განიცადეს შვეიცარიის უძლიერეს კლუბთან ორთაბრძოლაში. ამ გათამაშების შედეგები მოყვანილია ცხრილში.

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОПУБКАХ"

შერჩევითი წრე

„ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) —
„აუსტრია“ (ავსტრია) — 3:1, 0:3

პირველი წრე — 1/16 ფინალი

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ)	— „ბაზელი“ (შვეიცარია)	— 3:2, 1:2
„ფენერბახჩე“ (თურქეთი)	— „კარლ ცეისი“ (გდრ)	— 0:4, 0:1
„სტანდარდი“ (ბელგია)	— „რუსენბორგი (ნორვეგია)	— 2:0, 5:0
„სპორტინგი“ (პორტუგალია)	— „ფლორიანა“ (მალტა)	— 5:0, 4:0
„სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია)	— „ბ“ 1903 (დანია)	— 2:1, 2:2
„ე პ ა“ (კვიპროსი)	— „ბორუსია“ (გფრ)	— 0:6, 0:10
„ფეიენორდი“ (ჰოლანდია)	— უ. ტ. ა. (რუმინეთი)	— 1:1, 0:0
„ევერტონი“ (ინგლისი)	— „კეფლავიკი“ (ისლანდია)	— 6:2, 3:0
„ნენდორი“ (ალბანეთი)	— „აიაკსი“ (ჰოლანდია)	— 2:2, 0:2
„გეტებორგი“ (შვეცია)	— „ლეგია“ (პოლონეთი)	— 0:4, 1:2
„უიპეშტი“ (უნგრეთი)	— „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოს.)	— 2:0, 0:4
„კალიარი“ (იტალია)	— „სენტ-ეიტენი“ (საფრანგეთი)	— 3:0, 0:1
„სელტიკი“ (შოტლანდია)	— „კოკოლა“ (ფინეთი)	— 9:0, 5:0
„პანატინაიკოსი“ (საბერძნეთი)	— „ეენესი“ (ლუქსემბურგი)	— 2:1, 5:0
„გლენტორანი“ (ჩრდ. ირლანდია)	— „უოტერფორდი“ (ირლანდია)	— 1:3, 0:1
„აუსტრია“ (ავსტრია)	— „ატლეტიკო“ (ესპანეთი)	— 0:2, 1:2

მეორე წრე — 1/8 ფინალი

„სელტიკი“	— „უოტერფორდი“	— 7:0, 3:2
„პანატინაიკოსი“	— „სლოვანი“	— 3:0, 1:2
„ცრვენა ზვეზდა“	— უ. ტ. ა.	— 3:0, 3:1
„კარლ ცეისი“	— „სპორტინგი“	— 2:1, 2:1
„ლეგია“	— „სტანდარდი“	— 0:1, 2:0
„ევერტონი“	— „ბორუსია“	— 1:1, 1:1
„აიაკსი“	— „ბაზელი“	— 3:0, 2:1
„ატლეტიკო“	— „კალიარი“	— 4:2, 3:0

მესამე წრე — 1/4 ფინალი

„კარლ ცეისი“	— „ცრვენა ზვეზდა“	— 3:2
„სელტიკი“	— „აიაკსი“	— 0:3
„ევერტონი“	— „პანატინაიკოსი“	— 1:1
„ატლეტიკო“	— „ლეგია“	— 1:0

მომავალ გათამაშებაში ჩვენი ფეხბურთის ღირსებას დაიცავს მოსკოვის ცსკა.

თასის მფლობელთა თასი

ეს ტურნირი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩემპიონთა თასი — იგი დაწესდა ათი წლის წინათ. მისი მფლობელნი დღემდე იყვნენ:

1961 წ. — „ფიორენტინა“ (იტალია)
1962 წ. — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)
1963 წ. — „ტოტენჰემი“ (ინგლისი)
1964 წ. — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია)
1965 წ. — „ვესტ ჰემი“ (ინგლისი)
1966 წ. — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ)
1967 წ. — „ბავარია“ (გფრ)
1968 წ. — „მილანი“ (იტალია)
1969 წ. — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია)
1970 წ. — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი)

როგორც ხედავთ, ჩემპიონთა თასის გათამაშებისაგან განსხვავებით, ეს ჯილდო ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა ორჯერ მაინც. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თასების მფლობელთა თასის მოპოვება უფრო ძნელი იყოს, ვიდრე ჩემპიონთა თასისა. საქმე იმაშია, რომ თასის მფლობელთა ტურნირის შემადგენლობა ყოველწლიურად საგრძნობლად იცვლება.

საბჭოთა გუნდები ამ ტურნირში გამოდიან 1964 წლიდან. მაშინ გათამაშებაში თასის მფლობელი კიევის „დინამო“ მონაწილეობდა. ჩრდილო ირლანდიის საკლუბო გუნდ „კოლრეტისა“ და ნორვეგიის „როზენბორგთან“ (6:1, 4:0, 4:1, 2:0) გამარჯვებების შემდეგ, კიეველები მეოთხედფინალში გავიდნენ, აქ პოპულარულ შოტლანდიურ კოლექტივთან „სელტიკთან“ დამარცხდნენ (0:3, 1:1) და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

მომდევნო წელს კიეველების ნაცვლად ტურნირში თასის ახალი მფლობელი მოსკოვის „სპარტაკი“ ჩაება. „სპარტაკმაც“ სტარტზე ზედიზედ ადვილად სძლია ბელგრადის ოფკ-ას (3:1, 3:0), მაგრამ მერვედფინალში მარცხი განიცადა ვენის „რაპიდთან“ (1:1, 0:1). უკანასკნელ გათამაშებაში გამოდიოდა სსრკ 1969 წლის თასის

КЛИСФ. НИШИВ ЕВГ. ЛУБЕКИ“

მფლობელი ლვოვის „კარპატი“. ლვოვის ფეხბურთელთა შედეგი მოყვანილია 1970-1971 წწ. გათამაშების ცხრილში.

შერჩევითი წრე

„ატვიდაბერგი“ (შვეცია) — „პარტიზანი“ (ალბანეთი)	— 0:0 0:2
„ბოჰემიანსი“ (ირლანდია) — „გოტვალდოვი“ (ჩეხოსლოვაკია)	— 1:2, 2:2

პირველი წრე — 1/16 ფინალი

„კარპატი“ (ლვოვი) — „სტიაუა“ (რუმინეთი)	— 0:1, 3:3
„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „ლინდფილდი“ (ჩრდ. ირლანდია)	— 1:0, 1:2
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ოლიმპია“ (იუგოსლავია)	— 1:1, 8:1
„არისი“ (საბერძნეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი)	— 1:1, 1:5
„აკურეირი“ (ისლანდია) — „ციურიხი“ (შვეიცარია)	— 1:7, 0:7
„კარდიფ სიტი“ (უელსი) — „პოლი“ (კვიპროსი)	— 8:0, 0:0
„კიკერსი“ (გფრ) — „ბრიუგე“ (ბელგია)	— 2:1, 0:2
„ხიბერნიენი“ (მალტა) — „რეალი“ (ესპანეთი)	— 0:0, 0:5
„ფორვერტსი“ (გდრ) — „ბოლონია“ (იტალია)	— 0:0, 1:1
ცსკა (ბულგარეთი) — „ვალკეაკოსკი“ (ფინეთი)	— 9:0, 2:1
„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი)	— 3:1, 1:3
„სტერმგოდსეტი“ (ნორვეგია) — „ნანტი“ (საფრანგეთი)	— 0:5, 3:2
„ოლბორგი“ (დანია) — „გურნიკი“ (პოლონეთი)	— 0:1, 1:8
„გიოზტეპე“ (თურქეთი) — „უნიონი“ (ლუქსემბურგი)	— 5:0, 0:1
„ვაკერი“ (ავსტრია) — „პარტიზანი“ (ალბანეთი)	— 3:2, 2:1
„გოტვალდოვი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)	— 2:1, 0:1

მეორე წრე — 1/8 ფინალი

„ეინდჰოვენი“ — „სტიაუა“	— 4:0, 3:0
„გურნიკი“ — „გიოზტეპე“	— 1:0, 3:0
„ჩელსი“ — ცსკა	— 1:0, 1:0
„რეალი“ — „ვაკერი“	— 0:1, 2:0
„ფორვერტსი“ — „ბენფიკა“	— 0:2, 2:0
„მანჩესტერ სიტი“ — „ჰოვენდი“	— 1:0, 2:0
„ბრიუგე“ — „ციურიხი“	— 2:0, 2:3
„კარდიფ სიტი“ — „ნანტი“	— 5:1, 2:1

მესამე წრე — 1/4 ფინალი

„გურნიკი“ — „მანჩესტერ სიტი“	— 2:0
„ეინდჰოვენი“ — „ფორვერტსი“	— 2:0
„ბრიუგე“ — „ჩელსი“	— 2:0
„კარდიფ სიტი“ — „რეალი“	— 1:0

უეფას თასი

ამიერიდან ასე ეწოდება გათამაშებას, რომელიც ცნობილი იყო როგორც ბაზრობათა თასი. ტურნირს საფუძველი 1955 წელს ჩაეყარა, მაგრამ პირველი გათამაშება გაჭიანურდა და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 12 გუნდმა გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი, მაინც სამ წელიწადს გასტანა. შემდგომში ტურნირის პოპულარობა იზრდება და იგი რეგულარულად ტარდება. აი მასში გამარჯვებული გუნდების სია.

1955-58 წ. — „ბარსელონა“ (ესპანეთი)
1958-60 წ. — „ბარსელონა“ (ესპანეთი)
1960-61 წ. — „რომა“ (იტალია)
1961-62 წ. — „ვალენსია“ (ესპანეთი)
1962-63 წ. — „ვალენსია“ (ესპანეთი)
1963-64 წ. — „სარაგოსა“ (ესპანეთი)
1964-65 წ. — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)
1965-66 წ. — „ბარსელონა“ (ესპანეთი)
1966-67 წ. — „დინამო“ (ზაგრები)
1967-68 წ. — „ლიდსი“ (ინგლისი)
1968-69 წ. — „ნიუკასლი“ (ინგლისი)
1969-70 წ. — „არსენალი“ (ინგლისი)

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ამ გათამაშებაში ჩვენი კლუბების მონაწილეობის შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ჩვენს ფეხბურთს უეფას თასის გათამაშებაში წარმოადგენენ მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“, რომლებმაც 1970 წლის საკავშირო ჩემპიონატში დაიკავეს მესამე და მეოთხე ადგილები. რას წარმოადგენს ტურნირი, რომლის დებიუტანტები არიან ქართველი ფეხბურთელები?

პირველ წლებში ეროვნული ფედერაციები ტურნირში მონაწილეობისათვის ნამდვილად იმ ქალაქების წარმომადგენლებს აგზავნიდნენ, სადაც ტრადიციული ბაზრობები იმართებოდა. მაგრამ მერე როცა ცხადი შეიქნა, რომ ამ პუნქტის პედანტურად დაცვას არავითარი აზრი არა ჰქონდა და ამას არც არავინ ითხოვდა, საკითხი უფრო იოლად გადაწყდა: ყოველ ეროვნულ ფედერაციას უფლება

КЛИСФ. "НАШИ В ЕВРОПЕ"

მიეცა საკუთარი ნება-სურვილით შეერჩია კლუბები შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. ბაზრობის ფაქტორი საერთოდ ამოვარდა დებულებიდან. ამან გამოიწვია ის, რომ ბოლოს და ბოლოს საჭირო შეიქნა ტურნირისთვის სახელწოდება შეეცვალათ. ბაზრობათა თასის ტურნირში ეროვნული ფედერაციები ყოველთვის არჩევენ გამოცდილ, პოპულარულ, ძლიერ გუნდებს, რომლებსაც თავიანთი არსებობის ისტორიაში არა მარტო საკუთარი ქვეყნის მასშტაბით მოუპოვებიათ წარმატებები, არამედ საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ, ამას გარდა ფედერაციებს უფლება აქვთ სურვილისამებრ შეარჩიონ რამდენიმე ასეთი ძლიერი გუნდი. ამიტომაა ამ ტურნირებში ასეთი სოლიდური შემადგენლობანი და როცა, გუნდები, როგორიც არიან, მაგალითად, იტალიის „ინტერნაციონალე“, „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“, ინგლისის „ლიდსი“, „ლივერპული“, იუგოსლავიის „პარტიზანი“, „ჰაიდუკი“, ესპანეთის „ბარსელონა“, „სევილია“, დასავლეთ გერმანიის „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ და სხვანი, „თავისუფალი“ არიან თავიანთი ქვეყნის ჩემპიონობიდან ან თასის მფლობელობიდან, ისინი ხალისით გამოდიან ბაზრობათა თასზე და დიდ წარმატებად მიაჩნიათ ყოველ მომდევნო ტურში გასვლა.

ბოლო ორი წლის მანძილზე ბაზრობათა თასის გათამაშებაში მონაწილეთა რაოდენობა 90-ს აღწევს, ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტი გარკვეულ ლიმიტს აწესებს, რათა შეჯიბრება დაიწყოს 64 კლუბმა. ე. ი., სათასო პრინციპის შესატყვისად პირველი ეტაპი ოცდამეთორმეტედფინალი იყოს.

64 გუნდს ანაწილებენ 8 ჯგუფად თითოეულს 8 გუნდის შემადგენლობით, ამასთან ყურადღება ექცევა, რომ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები დასაწყისში არ შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მიზნით ხდება მონაწილეთა ხელოვნური განთესვა.

ყოველი ტურის შემდეგ (ტარდება 2 მატჩი — საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე) ხდება ხელახალი კენჭისყრა. გადამწყვეტი, ფინალური მატჩიც ორია, შინ და გარეთ.

რაკი ბაზრობათა თასის ტურნირმა ასეთი დიდი პოპულარობა და გავრცელება ჰპოვა, უეფა-მ გადაწყვიტა მთელი რიგი რეფორმები მოახდინოს მის გათამაშებაში: ჯერ ერთი, მას შეეცვალა სახელი და ახალი სეზონიდან, ე. ი. როცა საბჭოთა ქვეყნის გუნდებიც

მიიღებენ მასში მონაწილეობას, დაერქმევა „უეფა-ს თასი“, მეორე — მოიხსნა შეზღუდვა, რომ არ შეიძლება ერთი ქალაქიდან მასში გამოვიდეს 2 გუნდი, მესამე — დაწესდება ახალი პრიზი, ხოლო ძველი დარჩება რომელიმე კლუბს. ვის? 22 სექტემბერს თასის პირველი მფლობელი „ბარსელონა“ და გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს ამჟამად მიმდინარე გათამაშებაში, სპეციალურად ითამაშებენ პრიზისათვის და გამარჯვებული მას სამუდამოდ დაიტოვებს. რა მდგომარეობაა ამჟამად ბაზრობათა თასის ტურნირში? ახლა გამოვლენილია მეოთხედფინალის მონაწილენი. ესენი არიან: „არსენალი“ (ინგლისი) — „კიოლნი“ (გფრ), „ლიდსი“ (ინგლისი) — „სეტუბალი“ (პორტუგალია), „ლივერპული“ (ინგლისი) — „ბაიერნი“ (გფრ), „იუვენტუსი“ (იტალია) — „ენჰედე“ (ჰოლანდია).

წლევანდელი გათამაშების ფინალები გაიმართება მაისში.

КЛУБ ЕВРОПЕЙСКИЙ

«ФУТБОЛ-71»
Справочник-календарь
Автор составитель Г. Аконов
(На грузинском языке)
Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, 1971

რედაქტორი გ. პეტრიაშვილი
მხატვარი გ. იაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. იონათამიშვილი
გადაეცა ასაწყობად 23/III 1971 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
ქაღალდის ფორმატი 60X90 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4,5
საარიცხვო საგამომცემლო თაბახი 4,3
შეკვ. № 1144 ტირაჟი 20.000 უე
ფასი 13 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

КЛИСФ. НАШИ В ЕВРОКУБКАХ"